06/12/2019

გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნებისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის წერილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს

სსიპ გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი

LEPL GEORGE CHUBINASHVILI NATIONAL RESEARCH CENTRE FOR GEORGIAN ART HISTORY AND HERITAGE PRESERVATION

ათონელის ქუჩა №9; 0105 თბილისი, საქართველო; (+995 32) 299 05 88; ელ-ფოსტა: g_ch_centre@yahoo.com
9, Atoneli St; 0105 Tbilisi, Georgia; (+995 32) 299 05 88; E-mail: g_ch_centre@yahoo.com

MES 1 19 01604984

25/11/2019

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს,
ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს,
უწმინდესსა და უნეტარესს ილია II

თქვენო უწმინდესობავ,

გვინდა მადლობა მოგახსენოთ იმ მხარდაჭერისათვის, რომელიც პირადად თქვენ და სრულიად საქართველოს საპატრიარქომ აღმოუჩინა გ.ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულ კვლევით ცენტრს, როცა ამ რამდენიმე თვის წინ, სხვა ორგანიზაციასთან, ჩვენი გაერთიანების საკითხი განიხილებოდა. ამით რეალური საფრთხე შეექმნა, ქართული სამეცნიერო სივრცის, მრავალწლიანი ისტორიის მქონე, იმ წარმომადგენელს, რომელიც ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის სამართალმემკვიდრეა და გ.ჩუბინაშვილის სახელოვნებათმცოდნეო სკოლის უმთავრესი კერა.

მხოლოდ თქვენი, ჩვენი უცხოელი პარტნიორების და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ძალისხმევით გახდა შესაძლებელი სათანადოდ აგვეხსნა და დაგვესაბუთებინა ჩვენი პოზიცია და ამ ინსტიტუციის დამოუკიდებელი სახით არსებობის აუცილებლობა. ამ ინფორმაციის, სათანადო სახით, ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუბლებამდე მიტანაც მხოლოდ თქვენი დახმარებით გახდა შესაძლებელი.

დღეს გ.ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი განაგრძობს ჩვეულ რეჟიმში მუშაობას და ვიმედოვნებთ ასე იქნება მომავალშიც ქვეყნის და ქართული მეცნიერების საკეთილდღეოდ.

გ.ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულ კვლევით ცენტრს, საქართველოს საპატრიარქოსთან თანამშრომლობის ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჩვენი კვლევის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება ქრისტიანული ხელოვნებაა და ცხადია მსგავსი პარტნიორობის გარეშე მუშაობა შეუძლებელი და წარმოუდგენელიც კია.

ჩვენ, ჩვენის მხრივ უდიდეს, მოკრძალებასა და პატივისცემას გამოვხატავთ თქვენი და სრულიად საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მიმართ და გიცხადებთ სრულ თანადგომასა და მხარდაჭერას. გვიგულეთ თქვენს გვერდით განსაცდელისა თუ მშვიდობის ჟამს.

პატივისცემით,

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა

ა სპორტის სამინისტრო / სსიპ გიორგი
ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების
ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი
ცენტრი
დირექტორი
ზელაშვილი თამარ

— patriarchate.ge